საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/14

26 **იანვარი, 2022 წელი**

ქ. ბათუმი

ქართული სტუდენტური თარგმანისათვის ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოპოვებისათვის კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2021 წლის 28 დეკემბერს ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსისა და ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ხათუნა ბერიძის 2022 წლის 18 იანვრის MES 0 22 0000036624 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2021-2022 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო და ასევე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ ქართული სტუდენტური თარგმანისათვის ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) 2022 წლის 7-დან 18 თებერვლის ჩათვლით - კონკურსანტის განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენა (ბსუ-ს სტუდენტური პორტალის, ველის „წერილი კანცელარიას“ მეშვეობით);

ბ) 2022 წლის 21 თებერვალი - საკონკურსო დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიისათვის გადაცემა;

გ) 2022 წლის 22 თებერვალიდან 09 მარტის ჩათვლით - კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა;

დ) 2022 წლის 14 მარტი - საკონკურსო კომისიის მიერ ბსუ-ში გამარჯვებული საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საუკეთესო თარგმანის გამოვლენა და საქართველოს პრეზიდენტზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენა დაგეგმილია 2022 წლის 14 აპრილისათვის, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციებში: პროზაული ნაწარმოების

ქართული თარგმანი/ სამეცნიერო ნაშრომის ქართული თარგმანი - 2022 წლის 23 აპრილისათვის (ქ. თბილისი ორბელიანების სასახლე (გიორგი ათონელის N 25-ი).

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად);

ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

გ) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) საკონკურსო ნაშრომის ქართული თარგმანი (არ უნდა იყოს გამოქვეყნებული სხვა მთარგმნელის მიერ).

3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

ა) მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე - რექტორის მოადგილე, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ;

გ) ხათუნა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (მდივანი);

დ) ნანა ქაჯაია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ე) ნანა ტრაპაიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

4.საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს საოქმო გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს საკონკურსო პირობებიდან და უნივერსიტეტის ინტერესებიდან.

ბრძანება საჯარო გამოცხადებისათვის განთავსდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

5.ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საკონკურსო კომისიის წევრებს.

6.ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

ქართული სტუდენტური თარგმანისათვის ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოპოვებისათვის კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 26 იანვრის N 01-02/14 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

ბსუ-ს ---------- ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროგრამის ----------

მე-- ---- სასწავლო წლის სტუდენტის,

კონკურსანტ .....

(სახელი ,გვარი),

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო **ქართული სტუდენტური თარგმანისათვის ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში და წარმოგიდგენთ** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) რექტორის 2022 წლის 22 იანვრის N_____ ბრძანებით განსაზღვრულ საკონკურსო დოკუმენტაციას:

1. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
2. სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;
3. საკონკურსო ნაშრომის ქართული თარგმანი (არ უნდა იყოს გამოქვეყნებული სხვა მთარგმნელის მიერ) ___ფურცელზე.

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ/არასწორ მონაცემებს. ამასთანავე, **თანხმობას ვაცხადებ** ბსუ-მ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები გამოცხადებული კონკურსის პირობებისა და ბსუ-ს რექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნათა აღსრულების მიზნით.

თარიღი:.....

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი:

ელ.ფოსტა: